სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 13 (4517) • 28 ოქტომბერი • 2015 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 1 ლარი •

ნომრის სტუმარია თბილისის 49-ე საჯარო სკოლა

ჩართულობა პროფესიული განვითარების პროექტებში

სწავლება და პროფესიული ორიენტაცია თუ მოსწავლეთა მონაწილეობა საზოგადოებრივად სასარგებლო და ნაყოფიერ შრომაში, სწავლისადმი შეგნებული დამოკიდებულების გამომუშავება, პიროვნების მოქალაქეობრივი ჩამოყალიბება, ზნეობრივი და ინტელექტუალური ფორმირებისა და ფიზიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

მადლს მადლიერება ამრავლებს ქვეყნად. მადლიერების გამოხატულება კი არა მხოლოდ სამადლობელი სიტყვებია, არამედ ის საქმეც, რომელსაც მომავალი თაობებისთვის გაასმაგებული მონდომებითა და პასუხისმგებლობით ვაკეთებთ პედაგოგები.

როგორც ყოველთვის, ახალი სასწავლო წლის დაწყება სასიხარულოა. იგი ახალი მოლოდინებითა და იმედებით გვავსებს. ასე იყო წელსაც: მზიანი, თბილი, ღიმილიანი სახეებით სავსე ეზო და სკოლის შემოგარენი. სასწავლო წლის დაწყება პედკოლექტივს, მოსწავლეებსა და მოსწავლეთა მშობლებს მიულოცა 49-ე საჯარო სკოლის დირექტორმა **ეკატერინე ცაავამ**, სასწავლო აღმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილემ **ლელა ცაგურიშვილმა**, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარემ **მარიცა ნატრიაშვილმა**.

დირექტორის მისალმება განსაკუთრებული სითბოთი და მზრუნველობით იყო გაჯერებული და საერთო სიხარულს გამოახატავდა. მან აღნიშნა, რომ ეს წელი განსხვავებული და მნიშვნელოვანია **პირველკლასელთათვის**, რომლებმაც პირველად შეაბიჯეს განათლების ტაძარში. ასევე მნიშვნელოვანია იგი **მეთორმეტეკლასელთათვის**. მათ წინაშე ხომ ახალი ცხოვრების ასპარეზი გადაიშალა.

სკოლის დირექციამ მაქსიმალურად სუფთა და მოწესრიგებული სასკოლო გარემო დაახვედრა სკოლაში მოსულ საზოგადოებას, ძვირფას სტუმრებს. მოწესრიგდა ინტერიერი. განახლდა რამოდენიმე საკლასო ოთახი. შეძენილია ახალი სასკოლო ნივთები.

ყველა მოსწავლეს დროულად გადაეცა მათთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები. სკოლის ყველა პედაგოგი ჩართულია პროფესიული განვითარების სქემაში. სკოლის დირექციის მხრიდან უდიდესი მზაობაა მომავალი თაობის საკეთილდღეოდ.

ენთუზიაზმი გამარჯვებას განაპირობებს. სკოლის ყველა მუშაკს მივმართავთ გრიგოლ ორბელიანის სიტყვებით: „აჰა, დიდების და სახელთქების ასპარეზია თქვენთვის დაცლილი!“

მარიამ კვიატკოვსკაია

დღეს ვზრდით ხვალინდელ ჰატრიოტებს

ჩვენი სკოლის პედაგოგ-აღმზრდელები, სკოლის ხელმძღვანელობა თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენებით ცდილობენ, რომ მოსწავლეებს ყველა პირობა შეუქმნან ნებისმიერი ტიპის სასწავლო მასალის ღრმად და საფუძვლიანად გაგებაათვისებაში.

იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი უფრო აქტიური, სახალისო, უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული გახდეს, თბილისის 49-ე საჯარო სკოლის დირექტორი **ეკატერინე ცაავა** სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად ძალისხმევას არ იშურებს და აქტიურ სასწავლო პროცესს წარმართავს სკოლის აღსაზრდელების საკეთილდღეოდ.

ახლახან ერთ-ერთი ასეთი საინტერესო და ხანგრძლივი პროექტი დასრულდა 49-ე საჯარო სკოლის **მეცხრეკლასელთათვის**. ამან წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდების მეხსიერებაში.

პროექტი მოიცავდა ცნობილი რუსი პოეტის **ვლადიმერ მაიაკოვსკის** შემოქმედებისა და ბიოგრაფიული ცნობების მოკვლევას, რუსული ენის ჩინებული მასწავლებლის **ეკატერინე ცაავას** ხელმძღვანელობით. ამის პარალელურად ასეთივე ღონისძიება ჩატარდა პედაგოგის, პროფესორ **ფარნაოზ ლომაშვილის** ხელმძღვანელობით.

პროექტის ორგანიზება განხორციელდა კლასის დამრიგებლის და ხელოვნების პედაგოგის **ანა ბედიაშვილის** ხელშეწყობით. იგი წარმატებით დასრულდა ორდღიანი ექსკურსიით **ქუთაისი-მარტვილი**.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს მოწიწება და თაყვანი სცეს **დავით აღმაშენებლის** საფლავს. სიამაყის გრძნობა დაეუფლათ, როცა **გელათის აკადემიის** დარბაზში შეაბიჯეს და **ბაგრატის ტაძარი** მოილოცეს. ნახეს უძველესი ხუროთმოძღვრების უნიკალური ნიმუშები, ფრესკები, ორნამენტები. შეიგრძნეს საქართველოს დიდებული ისტორიული ფასეულობები – გაცოცხლებული ხელოვნების სხვადასხვა დარგში.

მიზანი, რასაც პროექტი ისახავდა, ზედმიწევნით მიღწეულ იქნა.

მოსწავლეებმა გაითავისეს დავითის ეპოქის ხიბლი, ისტორიული ღირებულებების არსი, შეიგრძნეს ესთეტიურობა და უნიკალურობა მისი. შეიგნეს: თუ ჩვენ საკუთარი წარსული დავივიწყეთ, ვერც მომავალს დავაფასებთ.

ჩვენი საამაყო წინაპრების მიერ გაკვალული გზა არის საწყისი ჩვენი მოზარდების წარმატებებისაკენ მიმავალი დიდი გზისა.

ანა ბედიაშვილი



ვაჟა

(გარდაცვალების 100 წელი)

დამსეტყვე, ცაო!

დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე,
აქა ვარ ჩემის თავითა,
გულითა გაუტეხელი,
მთუღალავი მკლავითა.
რაც უნდა ჭირი მომკერძო,
ბილწთ არ შავეკვრი ზავითა...
განა მარტო ვარ ამქვეყნად,
სხვაც მრავალია ჩემფერა,
ვისაც არავინ არ სწყალობს,
წყევლას უბარებს ტერტერა,
ის ვიცი, მითი ენუგეშობ, –
გულიც მან გამიერთფერა,
ხან მინდორ-ჭალებს დავთელავ,
ხან შავაბიჯებ სერ-სერა;
დავუკრავ მჭვარტლიან ჩონგურს
ათასჯერ, განა ერთხელა;
და ზედ დავმღერებ იმასვე,
რასაც დღესნამდე ვმღეროდი...
ისევ მტერი ვარ იმისა,
ვისაც დღესნამდე ვმტერობდი, –
იგივე მიყვარს, იგივე,
ვისაც ამ სოფლად ვრჩეობდი,
სანამდის ვცოცხლობ,
გულში მაქვს, –
კეთილსა ვყვანდე ზიარად;
ვერ მივცემ მტერსა მამულსა
საჯიჯგნად, დასაზიანად...
ნუ გეგონებათ, დავლაჩრდი, –
ჯერ ისევა ვარ ფხიანად.

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: “საქპრესა” _ გურამიშვილის გამზ. 64, ტელ.: (032) 2 518 518, “მაცნე” _ საირმის ქ. კორპ N 4, ტელ.: 2 14 74 22.

შემოქმედებითი გარჯა უთუოდ მოგვიტანს სასიხარულო შედეგებს

თბილისის 64-ე საჯარო სკოლაში

მეტრო „სამედიცინო უნივერსიტეტთან“ მდებარე 64-ე საჯარო სკოლა მრავალეროვნულია. აქ ერთმანეთის მხარდამხარ მეგობრულად იზრდებიან ქართველი, რუსი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების მოსწავლეები. მეოთხე წელია სკოლას უნარიანად უძღვება ნიჭიერი, შემოქმედი დირექტორი **თამარ მამსიკაშვილი** და წარმატებას წარმატებაზე აღწევს. იგი დედაქალაქის 123-ე საჯარო სკოლისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის აღზრდილია. გამოცდილი პედაგოგი სულ მალე მეცნიერებაშიც მიაღწევს დიდ წარმატებას და დოქტორის ხარისხით მოგვევლინება. წინასწარ ვულოცავთ მას სადოქტორო ხარისხის წარმატებით დაცვას!

რადგან სკოლაში სამი სექტორია, დირექტორს სამი მაღალკვალიფიციური მოადგილე ჰყავს: ქართულ სექტორს **ხათუნა მუქერია** კურირებს, რუსულს – **ლიდია მარინინა**, აზერბაიჯანულს – **გულნაზ აგაევა**.

ახალ სასწავლო წელს პედაგოგები კარგად მომზადებული შეხვდნენ: კეთილმოეწყო ახალი სასადილო, ახალი სპორტული დარბაზი, გარემონტდა საკლასო ოთახები.

„ყველგან კადრები წყვეტენ ყველაფერს!“ – ბრძანებდა ბრძენკაცი. დიახ, აქ ისეთი გამობრძმედილი, სანიმუშო პედაგოგები მოღვაწეობენ, ბევრ სკოლას შეშურდება.

ცხრამეტი სერთიფიცირებული მასწავლებელი სხვადასხვა კატეგორიისაა, დანარჩენებიც – მეტად გამოცდილნი, ასევე ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი **კახა სულაკაძე** და **თავადაც დოქტორი დირექტორი** – ეს, მერწმუნეთ, დიდი ძალაა.

სამეურვეო საბჭოს უძღვება ისტორიის ჩინებული მასწავლებელი **ანა ბალანჩივაძე**, ხოლო მოსწავლეთა თვითმმართველობას – ინიციატივიანი, ნიჭიერი მეათეკლასელი **მარიამ მესხიძე**.

ვინ არ იცის, რომ საგნობრივი კათედრების მოქნილი მუშაობა დიდად განაპირობებს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გააქტიურებას, სწავლების მაღალ ხარისხს, შედეგებზე ორიენტირებული სწავლების მაღალ დონეს.

საგნობრივ კათედრებს წარმატებით და ენთუზიაზმით ხელმძღვანელობენ: ქართული ენა-ლიტერატურისას – **მანანა წამალაიძე**, მათემატიკისას – **თამარ შადური**, უცხოური ენისას – **ნატალია ამირანაშვილი**, საზმეცნიერებისას – **ლია დავლაძე**, საბუნებისმეტყველოს – **ნინო ნატროშვილი**, ესთეტიკისას – **ოლღა კუჭუხიძე**, დაწყებითების კათედრას – **მაია მატუა**.

სკოლა შარშან 80-მა მოსწავლემ დაამთავრა, ოქროს მედლით თავი ისახელა **ონისე ადამიამ**. ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა დღეს სტუდენტია, ბევრი 100%-იანი გრანტით არის ჩარიცხული. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას 75 ქალიშვილი და ჭაბუკი დაამთავრებს.

ყველაზე მთავარი მაინც სწავლა-განათლების მაღალი ხარისხია, მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მიღწეული შედეგებია. ამ მხრივ, სკოლას ბევრი აქვს საამაყო, ოლიმპიადებში, კონკურსებში, კონფერენციებში მოსწავლეთა მიღწეული შედეგებით 64-ე საჯარო სკოლა დედაქალაქის ხუთი საუკეთესო სკოლის რეიტინგულ სიაში მოხვდა. გამარჯვებული მოსწავლეები, მათი პედაგოგები დაჯილდოებული არიან დიპლომებით და პრემიებით. ყველას ვინ ჩამოთვლის, მაგრამ უთუოდ უნდა დავაფასოთ ქართულის მასწავლებლების: **მანანა წამალაიძისა** და **მანანა გონგაძის** დიდი გარჯა. მათმა მოსწავლეებმა ქართულის ოლიმპიადებში დამაჯერებლად გაიმარჯვეს და მაღალი ჯილდოები მოიხვეჭეს, რომელიც მათ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** გადასცა.

სკოლა ჩართულია ბევრ საგანმანათლებლო პროექტში. მასწავლებელთა აქტიური ჩართულობა გადასამზადებელ ტრენინგებში მათი კვალიფიკაციის ამაღლების საწინდარია. ასევე სასიხარულოა ისიც, რომ ამ ახალი სასწავლო წლიდან რანგის მიხედვით ყველა პედაგოგს ხელფასი შესაბამისად გაეზრდება.

წინ ბევრი სამუშაოა. მოსწავლეებო და მასწავლებლებო: „აჰა, დიდების და სახელთქების ასპარეზია თქვენთვის დაცლილი!“ შემოქმედებითი გარჯა და საქმის სიყვარული უთუოდ მოგვიტანს სასურველ შედეგებს.

წინილებს შემოდგომაზე ითვლიანო, – ნათქვამია. სასწავლო შემოდგომა კი მომავალი წლის ივნისში დადგება და გვჯერა, ერუდირებული, შემოქმედი დირექტორის **თამარ მამსიკაშვილის** ხელმძღვანელობით 64-ე საჯარო სკოლა უფრო რეიტინგული გახდება.

ბორის ხარებავა

თბილისის 23-ე საჯარო სკოლაში

ტრადიციის სიახლეებით ამდიდრებენ

სახელოვანი ტრადიციების მქონე, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის 23-ე საჯარო სკოლა საქართველოში გამორჩეულია და ლიდერია თავისი მდიდარი ისტორიული წარსულით.

23-ე სკოლაში ყოველთვის მოღვაწეობდა პედაგოგთა ძლიერი გუნდი. ისინი გამოირჩეოდნენ პრინციპულობით და საგნის უზადო ცოდნით, აღსაზრდელებთან სანიმუშო ურთიერთობით. საუკუნის საფუძველჩაყრილი ტრადიცია კვლავაც გრძელდება. ძველი კოჰორტის ადგილი თანდათან, ახალგაზრდა თაობამ დაიკავა. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა დიდი ნაწილი ამავე სკოლის კურსდამთავრებულია, რაც ერთგვარ ტრადიციად ჩამოყალიბდა და დღესაც გრძელდება. ერთი წელიწადია, რაც სასწავლებლის დირექტორად აირჩიეს ამავე სკოლის კურსდამთავრებული **ნინო ნაბახტეველი**. თუმცა, მანამადე იგი სასწავლო ნაწილის გამგე გახლდათ და კარგად იცნობდა სკოლის შიდა სამზარეულოს. სკოლის ხელმძღვანელი შესანიშნავად უძღვება მასზე დაკისრებულ მოვალეობას და მისი ინიციატივით, სკოლაში არაერთი წარმატებული პროექტი თუ სიახლე განხორციელდა, დამყრდა წესრიგი. ამიტომაც, აფასებენ მას კოლეგები და მოსწავლეები.

დირექტორის თქმით, 23-ე სკოლა სხვა სასწავლებელთაგან გამორჩეულია ინტელექტუალური ძალების სიმრავლით. წლების მანძილზე, სკოლის მოსწავლეების მიერ მიღებული ოქროს და ვერცხლის მედლების სიჭარბე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

აღსანიშნავია, რომ სკოლის კურსდამთავრებულები მუდამ გამოირჩეოდნენ აქტიურობით – ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამჟამად, სკოლის 1345 ბავშვის აღზრდას მაღალკვალიფიციური პედაგოგები ემსახურებიან, რომელთა უმრავლესობა სერთიფიცირებულია. გაძლიერებული კურსით ფრანგული ენის სწავლებას კი, პროფესიონალი მასწავლებლები უძღვებიან. სკოლა თანამშრომლობს საფრანგეთის საელჩოსთან, დიუმას ცენტრთან და ფრანკოფონიის საზოგადოებასთან.

აქ მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა, გათბობის სისტემა და ხორციელდება სხვადასხვა პროექტები. ნაყოფიერი იყო გასული სასწავლო წელი, სკოლას ყავდა 5 მედალოსანი და ეამაყებათ, რომ 32 კურსდამთავრებული ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში, რაც კლასის დამრიგებლის **იამზე ეცეტაძის** დამსახურებაცაა. ერთ-ერთი წარჩინებული მოსწავლე **ცოტნე პატარაია** ჩაირიცხა დედაუნივერსიტეტში და 100 პროცენტიანი გრანტი მოიპოვა, ხოლო, ეროვნული ოლიმპიადის გამარჯვებული **მარიამ მინაძე** სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. სამოცდაათ პროცენტიანი გრანტი მოიპოვეს: **ლიზი ქართველიშვილმა**, **სანდრო ვადაჭკორიამ**, **ირაკლი კანდელაკმა**, **ანა ხარაიძემ** და **ნინო პეტრიაშვილმა**.

წლეულს 23-ე საჯარო სკოლაში 6 პირველი კლასია. აქ ფუნქციონირებს რამდენიმე საერთაშორისო პროგრამა, სასწავლებელი ჩართულია გაეროს ბავშვთა ფონდის Unicef-ის აქტიური სწავლების პროგრამაში და ასევე, დაწყებითი განათლების GPRIED-ის პროექტში. სკოლაში სიახლეა ის, რომ მე-9 მე-11 კლასელებს დაემატათ ახალ საგანი პროფესიული დაგეგმარება და ორიენტაცია.

მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა კონფერენციებში და ოლიმპიადებში, საიდანაც სიგელებით ხელდამშვენებულები ბრუნდებიან.

კათედრის ხელმძღვანელები არიან: ქართული ენა და ლიტერატურისა – **ქეთევან ლებანიძე**, მათემატიკისა, სერთიფიცირებული პედაგოგი – **ლალი გელაშვილი**, საბუნებისმეტყველო მეცნიერების – **ნათელა ინასარიძე**, ფრანგული ენისა – **მაკა ნადარეიშვილი**, რუსული ენის – **ციცინო ქოიავა**, ინგლისური ენის – **ნათია ბეჭვაია**, ესთეტიკის კათედრის – **მედეა ჩაკვეტაძე**, სპორტისა – **მარიამ ჯინჭარაძე**, დაწყებითებისა – **ინელა გულუა**.

დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ ისტორიის პედაგოგი **მარინე დალაქიშვილი-ნინუა,** ფრანგული ენისა **ეთერ ხასია** და ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი **კახა თოდაძე**.

ახალ სასწავლო წელს, სკოლის სააქტო დარბაზში, ტრადიციული ღონისძიება გაიმართა, სადაც მოწვეულმა სტუმრებმა და სკოლის წარჩინებულმა კურსდამთავრებულებმა, პატარებს სკოლის დაწყება მიულოცეს და მათ წარმატებები უსურვეს. ზეიმზე, ამავე სკოლის მოსწავლეებმა: **ანანო სამელიამ** და **ლუკა ბურდულმა** შეასრულეს ცეკვა „ქართული“, ქორეოგრაფი – **გია კენკებაშვილი**. ღონისძიება ქართული ხალხური სიმღერებით დაამშვენა მომღერალთა გუნდმა: „ნარდანინამ“, რომლის ხელმძღვანელია **მარიამ ჯუგაშვილი**. სკოლა მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული.

მზია გოგოძე

სამედიცინო კოლეჯის დიდი პოტენციალი

"პანაცეა" ახალ სიმაღლეებს უმიზნებს

თბილისში, მეტრო „დიდუბესთან" თ. ერისთავის ორ ნომერში განთავსებულია და ფუნქციონირებს საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა". მოკლედ მოგითხრობთ მისი ისტორიის შესახებ.

1875 წელს თბილისში მოქმედი ამიერკავკასის საბებიო ინსტიტუტის ბაზაზე გაიხსნა სამეანო კურსები. ეს გახლდათ

მთელ ამიერკავკასიაში პირველი საშუალო სამედიცინო კადრების მომზადების კერა, სადაც წლებ-

ის განმავლობაში იხვეწებოდა და ვითარდებოდა სასწავლო პროცესი. შეიცვალა სასწავლებლის დასახელებაც. შემდეგ იგი დამკვიდრდა, როგორც „თბილისის მეორე სამედიცინო სასწავლებელი", რომელმაც სპეციალისტებთან ერთად მრავალი სახელოვანი მეცნიერი და მოქალაქე აღზარდა.

1996 წელს მეორე სამედიცინო სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა შპს სამედიცინო ინსტიტუტი „პანაცეა". 2011 წლის 4 ივლისს ამ ინსტიტუტმა დააფუძნა საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა". კოლეჯს გააჩნია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კეთილმოწყობილი შენობა, კაბინეტ-ლაბორატორიები, კომპიუტერული ცენტრი და ბიბლიოთეკა მდიდარი წიგნადი ფონდით. კურსდამთავრებულებისთვის გაიცემა სახელმწიფო დიპლომი. კოლეჯში ჩარიცხვა და სასწავლო პროცესი ხორციელდება დასაქმების პერსპექტივით შემდეგი პროფესიული პროგრამებით (სრული ზოგადი განათლებით): **პრაქტიკოსი ექთანი – V საფეხური**, **პრაქტიკოსი ბებიაქალი – V საფეხური**, **ფარმაცევტის თანაშემწე – V საფეხური**, ხოლო საბაზო და სრული განათლებით **ექთნის თანაშემწე – III საფეხური**, **კბილის ტექნიკოსი III**, **IV, V საფეხური**, **მასაჟისტი** (18 წელს ზევით) **III საფეხური**.

კოლეჯის ხელმძღვანელობას **სახლში** და სხვა. ასევე „პანაცეას" კურსდამთავრებულებს შეხვდები **„ავერსის"**, **„პსპ"**-ს, **„ფარმადეპოს"**, **„ჯიპისის"** და სხვა აფთიაქებში.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ „პანაცეას" კურსდამთავრებულნი დასაქმებულნი არიან ისეთ რეგიონებში, როგორიცაა **ქობულეთი**, **გორი**, **კასპი**, **რუსთავი**, **მცხეთა**, **ჭიათურა**, **ზესტაფონი**, **სამტრედია**, **ხაშური**, **ბორჯომი**, **საინგილო** და სხვა.

„პანაცეას" საქმიანობის მაღალი შედეგები ძირითადად განპირობებულია აღნიშნული სასწავლო დაწესებულების კადრების მართებული საქმიანობით.

საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას" ხელმძღვანელობს ჭეშმარიტად გამორჩეული პროფესიონალი პიროვნება, მისი დირექტორი, მედიცინის დოქტორი **ვასილ კიკნაძე**. შესანიშნავი ორგანიზატორია კოლეჯის დირექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი **მაია ჩიხლაძე**. იგი ამავდროულად გახლავთ საქართველოს არასახელმწიფო პროფესიული სასწავლებლის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, სასწავლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი.

„პანაცეას" სასწავლო პროცესის მართვის ხელმძღვანელი **ლალი კალაძე** გამოირჩევა საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებით, რომელზეც მეტყველებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მაღალი დონე და შედეგები. არ შეიძლება ასევე არ აღვნიშნოთ გამორჩეულ პედაგოგთა შორის **ნინო ჩომახაშვილი** (სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე). პედაგოგები: **მალვინა ბაკურაძე**, **თინათინ ქერდიყოშვილი**, **ელისო ფარულავა**, **ლია მინდაძე**, **ნანა ბოჭორიშვილი**, **მანანა ალექსიშვილი**, **თემურ ახვლედიანი**, **მარინა კიკაჩეიშვილი**, **ინგა ბაქრაძე**, **ეთერ აბაშიძე** და სხვები.

ჩვენი გაზეთის რედაქცია „პანაცეას" ხელმძღვანელობას, მის ერთიან კოლექტივს უსურვებს შემდგომ წარმატებებს პროფესიული განათლების კადრების მომზადების სასიკეთოდ.

რომან მოსეშვილი

ვეწვიოთ თბილისის 166-ე ბაგა-ბაღს!

აქ ყველგან მზე და ხალისი მეფობს

ცეროდენების ეს ზღაპრული სამყარო მდებარეობს თბილისის ერთ-ერთ ულამაზეს უბანში – ვარკეთილში. დირექტორი **ქეთევან შენგელია** საოცარი სტუმართმოყვარეობით, სითბოთი და ხალისიანი განწყობით შემოგვეგება. არის უაღრესად თბილი და მოსიყვარულე ადამიანი, რასაც უხვად ავლენს მთელი კოლექტივის და პატარა აღსაზრდელების წინაშე.

ქეთევან შენგელია გახლავთ აფხაზეთიდან დევნილი, დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, პედაგოგობის 30 წლის მუშაობის სტაჟით დღემდე მთელი შემართებით ემსახურება ნორჩების აღზრდას. ამ ბაგა-ბაღს 8 წელია უდგას სათავეში და უკვე ყველაფერს დაატყო საკუთარი ხელწერა. შენობა ავარიულ მდგომარეობაში იყო, სადაც ვერ ხორციელდებოდა სააღმზრდელო პროცესების სრულყოფილად და გამართულად წარმართვა, აუცილებელი იყო კაპიტალური რემონტის ჩატარება. ბაღში ბევრი რამ აშენდა და დამშვენდა.

ერთი სიტყვით, ინფრასტრუქტურა სრულ წესრიგში მოიყვანა. მას მხარში აქტიურად უდგას მოადგილე **თინათინ გომარელი**, რომელიც მუდამ მოწოდების სიმაღლეზეა.

ახალი სასწავლო წლისთვის ბაღში ბევრი რამ გადახალისდა, მათ შორის ყველაზე უმთავრესია ის, რომ განახლდა სამზარეულო, შეიცვალა მენიუ, განახლდა აგრეთვე მუსიკალური დარბაზი,შემოვიდა ახალი სასწავლო მუშაობის პროგრამა, რაშიც ჩართულები არიან 5-6 წლის ბავშვები.

ბაღს შარშან მოთხოვნის შესაბამისად დაემატა ბაგის ჯგუფი. ბაღში დასაქმებულია აღმზრდელთა პროფესიონალური ჯგუფი, სტაჟიანი აღმზრდელები ახალბედებს ხშირად უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას ესენია: **თამარ ბაკურაძე**, **ნინა ონაშვილი**, **ბელა ავანესიანი**, **ჟუჟუნა ერგემლიძე**, **ნაირა თურმანიძე**, **მარინე კირვალიძე**, **ნანული ლომსაძე**, **მარიამ ოთარაშვილი**. ახალგაზრდა პედაგოგები ცდილობენ იყვნენ ისეთები, როგორებიც მათი უფროსი კოლეგები არიან. ენთუზიაზმით იღვწიან: **იმერლიშვილი თამარი**, **ხალატიანი კარინე**, **ტყემალაძე ეკატერინე**, **ტაბატაძე ნათია**, **ბუჩაშვილი ნინო**, **დათუაშვილი თეა**, **დავითაშვილი ეთერი**, **ვასაძე ლალი**. მათი თანაშემწეები: **მღვდელაძე ხათუნა**, **სტურუა ქეთევანი**, **აბესაძე ლია**, **შოვნაძე მაია**, **ხვთისავრიშვილი ლია**, **ჯავახია მარინა**, **შარაძე ნანა**, **ხაჩიძე თეა**, **ბედინაშვილი თამარი**, **მენთეშაშვილი თამარი**, **კაციაშვილი ნინო**, **ბარბაქაძე იამზე**, **ვარდანიანი სუსანა**.

ესენი სკოლისთვის კარგად მომზადებულ ბავშვებს უშვებენ. აღსანიშნავია ქალბატონი **ნაირა თურმანიძის** წვლილი, რომელსაც ჩაბარებული ჰყავს გამოსაშვები ჯგუფები.

ბაღში ფუნქციონირებს სათათბირო, რომელსაც ხელმძღვანელობს აღმზრდელი **თამარ ბაკურაძე**, მასში გაერთიანებული არიან როგორც მასწავლებლები, ასევე მშობლები და ყველანი ერთად მსჯელობენ სასწავლო-სააღმზრდელო მეთოდებზე.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გახალისებას და პატარებში ხელოვნებისადმი სიყვარულის გაღვივებას ემსახურება ის მეტად საინტერესო, კულტურული ღონისძიებები, რომლებიც ტარდება ბაღში. სისტემატურად ტარდება ემოციური ღონისძიებები: საშემოდგომო, საახალწლო, საგაზაფხულო თუ გამოსაშვები. ცეროდენები თავიანთი სიმღერებით, ცეკვით დიდ სიხარულს ანიჭებენ, როგორც საკუთარ თავს, ასევე მასწავლებლებს, მშობლებს და ბაღის სტუმრებს. ამ ნიჭიერთა შორის უთუოდ უნდა შევაქოთ: **ნანუკა ხურცილავა**, **ნიკოლოზ ნაჭყებია**, **მურჯიკნელი მარიამი**, **ბარბარე ახალკაცი**, **ლიკა აფციაური**, **კიკნაძე ანი**, **კერესელიძე მარიამი**, **ჩხაბერიძე ალექსანდრე**, **პაპაჩაშვილი ანასტასია**, **ახალური ნინო**, **მათიაშვილი ლიზი**, **ექსეულიძე ნია**, **კიკვაძე დემეტრე**, **ლაბარტყავა მარიამი**, **ჭარაქაშვილი თამარი**. ცეკვაში განსაკუთრებით გამოირჩევიან **ქეთო ჯანაშია** და **ფირცხელიანი ნიკოლოზი**. მუსიკის მასწავლებლები – **სოფიო შენგელია** და **დალია ბურდული** კი არიან სულისჩამდგმელები იმ საკონცერტო ღონისძიებებისა, რომელიც აქ ტარდება.

ბაღში ეწყობა სახვითი ხელოვნების კონკურსები და გამოფენები. აქ იზრდებიან ნორჩი მხატვრები **მარიამ ხვედელიძე**, **მერაბიშვილი ელიზავეტა**, **კახაბერ ღვინჯილია**, **აკაკი მთივლიშვილი**, **საბა წითაძე**, **სოფო ირემაშვილი**, **მარიამ გორგოძე**. ყველას გაცნობა ვერ მოვასწარით.

დიდი ყურადღება ექცევა სპორტს, ტარდება დილის გამამხნევებელი ვარჯიშები ჯგუფებში, კონკურსი „მხიარული სტარტები“. ჰყავთ მოცურავეები: **ცოტნე ნინუაშვილი**, **დიმიტრი ექსეულიძე**, ტანმოვარჯიშე **ანასტასია მამუჩარაშვილი**.

ბაღის იერ-სახეზე, მის გაფორმებაზე, დეკორაციებზე ზრუნავენ ქალბატონები **ეკა ტყემალაძე**, **ნათია ტაბატაძე** და **სოფიკო შენგელია**. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ყველა ზეიმზე ასე ლამაზად და შესაფერის ფერებშია მორთული ბაღის ყოველი კუთხე-კუნჭული.

ბაღის ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, ყველა ჯგუფში გამოყოფილია მშობლის კუთხე მათი წინადადებებისთვის, მოსაზრებებისთვის, შემოთავაზებებისთვის და პრეტენზიებისთვის.

ბაღის ცხოვრების სრულყოფისთვის აქტიურად იღწვიან მეთოდისტი **ინგა ჩაფიძე**, გამოცდილი ფსიქოლოგი – **ლალი ბერიანიძე**, საქმეთამმართველი **დალი ძაბირაძე**, ლოგოპედი – **ლელა ზურაბიშვილი**, მნე – **ეკატერინე მებონია**, ექთანი – **თამარ კაჭარავა**.

უმთავრესი და მეტად სათუთი ფუნქცია ეკისრება ბაღის მზარეულს – **ზინა ბუჯიაშვილს** და მის თანაშემწეებს **მანანა ალელიშვილს** და **მანანა სამადაშვილს**. ისინი მთელი მონდომებით ცდილობენ, რომ პატარების მენიუ იყოს გემრიელი და ამასთან გამოყენებული იყოს მხოლოდ საუკეთესო პროდუქტები და ინგრედიენტები. ერთი სიტყვით, ცუგრუმელებს ძალიან უყვართ ამათგან დაზმადებული კერძები.

სისუფთავეზე ზრუნავს დამლაგებელთა ჯგუფი **დალი ლომიძის**, **ლარისა კრიპკიანის**, **სვეტლანა ტოროიანის**, **ლალი მანჯგალაძის**, **ხათუნა აფციაურის**, **ელზა იმედაშვილის**, **თინა კირვალიძის**, **ნინო ზირაქიშვილის** შემადგენლობით, ხოლო უსაფრთხოებას იცავენ დარაჯები – **ანტონ სურგულაძე** და **ნოდარ ვარაზაშვილი**.

ყველა ამათი მუშაობით კმაყოფილია დირექტორი **ქეთევან შენგელია**. ბაგა-ბაღში მთელი პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი ერთ-ერთი ყველაზე მოწინავეა თბილისის ბაღებს შორის. ერუდირებული, გამობრძმედილი დირექტორის **ქეთევან შენგელიას** მეთაურობით შემოქმედი კოლექტივი უთუოდ გაიმარჯვებს. ყველას ერთად, დიდიან-პატარიანად ბედნიერებას და სიხარულს გისურვებთ 166-ე ბაგა-ბაღელებო!

ნანა ფიფია

მკითხველი დაგვეთანხმება იმის თაობაზე, რომ საერთოდ და განსაკუთრებით თანამედროვე ეტაპზე, ჭეშმარიტებას წარმოადგენს მომავალი თაობის, მათ შორის, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა პატრიოტულ-მამულიშვილური, ზნეობრივი, ესთეტიკური, შრომითი, ფიზიკური, გენდერული აღზრდის მიმართულებით გაწეული საქმიანობა. ამ მხრივ, ბუნებრივია, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სკოლამდელი აღზრდის ისეთი დაწესებულებები, როგორიცაა საბავშვო ბაგა-ბაღები. ხსენებული აღმზრდელობითი სტრუქტურა გადამწყვეტ მნიშვნელობას ასრულებს „პატარა მოქალაქეებად“ მათი ფორმირების საქმეში.

ჩვენს გაზეთს „სახალხო განათლება+“-ს, მის რედკოლეგიას მნიშვნელოვან ფუნქციად მიაჩნია საბავშვო ბაგა-ბაღების საქმიანობის ამსახველი მასალების გამოქვეყნება.

ამასწინათ, თბილისის დიდუბის ერთ-ერთ უბანში, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის გამოფენად წოდებული ტერიტორიის ქვემოთ-მდებარე დედაქალაქის ერთ-ერთ გამორჩეული 92-ე საბავშვო ბაგა-ბაღს ვეწვიე.

აქ პატარებისთვის საოცრად თბილი გარემო დამხვდა. ბაგა-ბაღის დირექტორის **ინგა კალანდაძის** მეტად საინტერესო საუბარმა აღსაზრდელებზე, როგორც საკუთარ შვილებზე თავიდანვე დადებითი ატმოსფეროს გარემო შექმნა.

ხსენებული ბაგა-ბაღი თავისი არსებობის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მქონე აღმზრდელობითი დაწესებულებაა. მის დირექტორს შრომატევადი საქმიანობის განხორციელებაში გვერდში უდგას გამოცდილი მოადგილე **მანანა ქოქიაშვილი**, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი (მეთოდისტი) **ქეთევან გელაშვილი**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **ნანი ჯამრიშვილი**, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **ნინო ლუტიძე**; ღვაწლმოსილი და ახალგაზრდა აღმზრდელები (პედაგოგები): **სილვა ანდიაშვილი**, **ნუნუ სულამანიძე**, **მანანა ციბაძე**, **მანანა კეჭაყმაძე**, **ინგა ვილი**; ფსიქოლოგი **ელზა მესხი**, ლოგოპედი **ქეთევან მჭედლიშვილი**; მუსიკის პედაგოგი **ნათია კალანდაძე**; სპეცპედაგოგი **შორენა გადილია**. ცეკვის პედაგოგი **ნათია მაისურაძე**; საქმისმწარმოებელი **დავით ქობალიანი**. პატარების კვებას ემსახურებიან მზარეული **სოფიო არსენიძე** და მისი დამხმარე **ინგა ბარამიძე**. დაუღალავად შრომობენ ტექნიკური მუშაკები **ქეთევან გრიგოლია**, **თამარ ბორაშვილი**, **თამარ სონღულაშვილი**, **ნათია კიპაროიძე**, **გულნარა ამირეჯიბი**, **ვენერა ბახია**, **ბელა ზარნაძე**, **ნატალია კოპალიანი**, **ოთარ ძნელაძე**.

92-ე ბაგა-ბაღისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვების ჩართვა სააღმზრდელო პროცესში. ზემოთ ჩამოთვლილი ბაღის თითოეული თანამშრომელი ცდილობს უზრუნველყოფს უსაფრთხო, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული გარემო. ბაღში თითოეული სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის იქმნება ინდივიდუალური გეგმა, რომელსაც შეთანხმებულად ადგენს მულტიდისციპლინური გუნდი. იგი დაკომპლექტებულია ფსიქოლოგით, ლოგოპედით, სპეცპედაგოგით, აღმზრდელით, მშობლით.

92-ე ბაგა-ბაღის მაგალითზე დარწმუნდებით იმაში, რომ პატარებისთვის საჭირო გარემოს შექმნაში სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურებია, ტარდება რეფორმა მეთოდოლოგიაში, ინერგება სასკოლო მზაობის ახალი პროგრამა. გაიზარდა კვების კალორაჟი; სპეციალური დადგენილების შესაბამისად ჩატარდა საბავშვო ბაგა-ბაღების საკვები პროდუქტებით მომარაგებასთან დაკავშირებული ტენდერები, გამოვლინდნენ გამარჯვებულები. ამჟამად სხვა ბაგა-ბაღებთან ერთად 92-ე ბაგა-ბაღიც მარაგდება სერთიფიცირებული და მაღალი ხარისხიანი საკვები პროდუქტებით; მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, ბაგა-ბაღში შეძენილი იქნა სათამაშოები, ლიტერატურა, სამუშაო მასალა.

ბაგა-ბაღის თანამშრომლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ისინი კმაყოფილნი არიან თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების აპარატის, მისი ხელმძღვანელის, სააგენტოს დირექტორს **თემურ თორდინავას** ყურადღებით, რომელიც ორიენტირებულია აღსაზრდელებთან მუშაობის დადებითი შედეგების მიღწევისაკენ, მათი ჭეშმარიტ მოქალაქეებად ფორმირებისაკენ. ნიჭიერი, ენერგიული დირექტორის **ინგა კალანდაძის** ხელმძღვანელობით 92-ე ბაგა-ბაღი დედაქალაქში ერთ-ერთ მოწინავე პოზიციებს ინარჩუნებს.

რომან მოსეშვილი

როგორ ცხოვრობთ, 92-ე ბაგა-ბაღელებო?

აღრესი, კვება, თამაში აქ ერთშანეთზე უკეთესია

 მოიხიბლებით 131-ე ბაღნარ-ბაღში

აქ პატარები და მათი მშობლები ხარობენ

ბაღნარად ქცეულ ბაგა-ბაღში ყველანაირი პირობაა იმისთვის, რომ ბავშვებმა თავი კომფორტულად, ბედნიერად იგრძნონ. აქ შენობაში შესვლისთანავე იგრძნობა სისუფთავე და წესრიგი, თვალსაჩინოებებით ლამაზადაა გაფორმებული ინტერიერი და ოთახები. ბაღს სათავეში უდგას უაღრესად ენერგიული და ახალგაზრდა დირექტორი **აქსანა ჯვარშეიშვილი.** იგი, წარმოშობით აფხაზეთიდანაა, პროფესიით უცხო ენების სპეციალისტი გახლავთ. უმაღლესი განათლება ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ გერმანიაში მიიღო. ქალბატონი აქსანა, უკვე რვა წელიწადია ბაღის ხელმძღვანელია და მისი მოსვლის დღიდან, ბაღში ბევრი რამ გაკეთდა გარემონტებული და კეთილმოწყობილია საბავშვო ოთახები, დარბაზი, სველი წერტილები, სამზარეულო და ეზო, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა. საინტერესოდ აქვთ მორთული დერეფნები, პატარებს, მართლაც ძალიან მიმზიდველ და სასიამოვნო გარემოში უწევთ ყოფნა, სწავლა და თამაში. ბაღის ხელმძღვანელობას გვერდში უდგას თბილისის მერიის ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსი **თემურ თორდინავა**.

გასულ წელთან შედარებით, ბავშვების რაოდენობა საგრძნობლად გაზრდილია. შარშან 44 პატარა გააცილეს სკოლაში.

დირექტორის თქმით, ბაღის გამოსაშვები ჯგუფი სასკოლო მზაობის პროგრამით მუშაობს, რისთვისაც გადამზადდა ახალგაზრდა პედაგოგი – **მაია ტონია**.

ბაღის ადმინისტრაცია საქმიანობს გუნდური მუშაობის პრინციპით. აქ ერთ მუშტად არიან

შეკრულნი და საოცარი მეგობრული ატმოსფერო სუფევს. თითოეული თანამშრომელი მუხლჩაუხრელად შრომობს და ზრუნავს მომავალი თაობის აღზრდაზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის **მაია თევდორაძის** საქმიანობა, რომელიც შესანიშნავად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ბაღის ადმინისტრაცია და თითოეული თანამშრომელი კმაყოფილებას გამოთქვამენ და მადლობას უხდიან ღვაწლმოსილ პედაგოგს – **მანანა მეცხვარიშვილის.** იგი, ოთხი ათეული წელია ბაღში მოღვაწეობს და დიდი რუდუნებით ემსახურება მომავალი თაობის აღზრდას, საკუთარი შვილივით ზრუნავს თითოეულ მათგანზე და უნერგავს მათ სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულს.

გაგაცნობთ შემოქმედებითად მოღვაწე სხვა თანამშრომლებსაც: დირექტორის მოადგილე **ქეთევან ცხომელიძე**, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **გულნარა სალუქვაძე**, საქმისმწარმოებელი **მაია მჭედლიშვილი**.

პატარებს თავს ევლებიან აღმზრდელები: **დალი რაჭველიშვილი, ნანა თორდია, თამილა სიგუა, ლია ჯაფარიძე, ბელა ხადური** და **ნაირა ხუციშვილი**.

ნორჩებზე მზრუნველობით გამოირჩევიან აღმზრდელის თანაშემწეები: **ეკატერინე ქვაჩახია, თამარ გველესიანი, თამარ სულაძე, ნინო ბაჯელიძე, მარიკა მაყაშვილი** და **ნინო მირგატია**.

აღსაზრდელებისთვის სანიტარული ნორმები ზედმიწევნით კარგად არის დაცული. პატარების სისუფთავეზე ზრუნავს ჯანმრთელობის და ჰიგიენის კოორდინატორი **ირმა მაისურაძე**. აქვე უნდა აღინიშნოს დამლაგებლების: **კაპანიანი სვეტას** და **ნათია სირაძის** საქმიანობა და მრეცხავის – **ელენე გრიგოლიას**, მუშის **ნუკრი რამაზაშვილის** თავდაუზოგავი შრომა. ბაღს საგულდაგულოდ იცავენ დარაჯები: **გოგუცა რამაზაშვილი** და **ნაზი დოიჯაშვილი**.

ცეროდენების ამ სამყაროში პატარეების კვება კალორიულია და მენიუც მრავალფეროვანი. პატარებს გემრიელ კერძებს უმზადებენ მზარეულები: **ნატო მახარაშვილი** და **ლელა შალამბერიძე**.

აქ მეთოდური მუშაობა მოწოდების სიმაღლეზეა. დედაქალაქის სკოლამდელი აღზრდის საკითხებში ბაღი აქტიურადაა ჩართული.

ბავშვების მუსიკალურ განათლებაზე ზრუნავს – **მედეა ქინქლაძე.** პატარების ცხოვრებას უფრო საინტერესოს ხდის ის ზეიმები, რომელიც ბაღში იმართება. ამჟამად, აღსაზრდელებმა საშემოდგომო ღონისძიება ხალისიანად ჩაატარეს, მოადუღეს თათარა და ამოავლეს ჩურჩხელები და ბევრი იმხიარულეს.

მზია გოგოძე

ობიექტურ-სუბიექტური აზრი

ხელფასი

ხელფასი ხელის ფასისგან ნაწარმოები სიტყვაა, ე. ი. როგორ შევაფასოთ ხელისგან გაწეული გარჯა და მივცეთ მშრომელს გასამრჯელო. ძველად ხელფასს ჯამაგირი ერქვა. იგი დახარჯული ძალისხმევის, ცოდნის, შედეგების შესატყვისი უნდა ყოფილიყო. ეს დღესაც არის ოქროს წესი.

ციფრებით, სტატისტიკით მკითხველს არ გადავტვირთავ. ორ ამოცანას გთავაზობთ, რომლის ამოხსნას დიდი ეკონომისტ-ბუღალტრობა არ უნდა. მას მეხუთეკლასელიც შეძლებს!

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემებით: **კომუნიკაციის ეროვნული კომისიის თავმჯდომარის** ყოველთვიური ხელფასი (სარგო, ჯამაგირი) 16537 ლარი ყოფილა, მინისტრისა კი – 3540.

მინისტრი ხუთჯერ ნაკლებს ღებულობსო, – სწრაფად მიპასუხა მეხუთეკლასელმა **ლუკამ**. **თუ მინისტრის შრომაზე ხუთჯერ მეტია სემეკის თავკაცის გარჯა,** ამაზე მკითხველმა იმსჯელოს. – მე კი ვერაფრით დავიჯერებ.

უფრო რთული ჩანს მეორე ამოცანა, რომლის ამოხსნა შეიძლება **ლუკას** გაუჭირდეს. მასწავლებლის საშუალო, განაკვეთური საგაკვეთილო დატვირთვა თვეში – 72 საათია. ციფრებს თუ დავამრგვალებთ, ყოველთვიური ხელფასი პედაგოგისა 500 ლარის ფარგლებში მერყეობს.

ინგა გრიგოლია კი „რეაქციისა“ და „კვირის შოუს“ წაყვანაში თვეში 24 საათს ხარჯავდა. აქაც ციფრებს თუ დავამრგვალებთ, ინგას ჯამაგირი თვეში 20 000 ლარს აჭარბებდა. **რამდენჯერ მეტი ხელფასი ჰქონია ინგას პედაგოგთან შედარებით?** აი, მეორე კითხვა: ოქროს წესი ამ სფეროში მოვა, მაგრამ როდის?

ვის როგორ ესმის ინტეგრაცია?

ლექსიკონის მიხედვით ინტეგრაცია ქართულად შერწყმას ჰქვია. იოვანე საბანისძეს იგი ასე ესმოდა: „აღვერიენით ერსა უცხოსა, რამეთუ ქართველნი ამისგან განილევიან... დასუსტებულნი, დაუძლურებულნი ირწევიან, ვითარცა ლელწამი ქართაგან ძლიერთა“.

ნეტავი ვიცოდე, რომელ უნივერსიტეტში არსებეობს **ყველაფრისმცოდნეობის** ფაკულტეტი? (ფილოსოფიის ფაკულტეტი არ გეგონოთ). არადა, ამ ფაკულტეტდამთავრებულებს, ზოგს ეკრანიდან და ზოგს პირადად, ბევრს ვიცნობ, მათ რომ ვუსმენთ (მხოლოდ ვუსმენთ, თორემ მათი ნააზრევი ჟურნალ-გაზეთებში ან წიგნებში არასოდეს წაგვიკითხავს), უნებურად ვფიქრობთ: ამ პიროვნებას ექვსი ან შვიდი ფაკულტეტი მაინც ექნება ერთდროულად დამთავრებულიო. პარლამენტი გინდა, აქცია გინდა, ბრიფინგი გინდა, მაშინვე წამოხტება მეცამეტე გოჭივით და ყველაფერზე რიხიანად თავის **წონად** „აზრს“ გამოთქვამს. გაგიხარიათ, ყველაფრის ექსპერტია: ფიზიკაც იცის, ქიმიაც, ბიოლოგიაცა, ეკონომიკა თავისი ფინანსებით, სამართალი. თავისი კრიმინალისტიკით, სოფლის მეურნეობა, მედიცინა, ჟურნალისტიც არის, დიპლომატიც, ყველაფერზე დაობს, ყველას „ჭკუას ასნავლის“, ყველაფერში კომპეტენტური და კვალიფიციურია, **გარდა იმ პროფესიისა, რაც დიპლომში უწერია**.

ასეთები ბევრზე ბევრი არიან – ქალებიცა და კაცებიცა. ხალხში ხუმრობენ: კენჭი (ქვა მტრისას) მაღლა რომ ააგდო, ან პოლიტოლოგს დაეცემა, ან – ექსპერტსო.

თუ თქვენი ნება იქნება, მკითხველო, ერთ მათგანს **შვიდ ბრუნვაში** გაგაცნობთ, ოღონდ კოლმეურნეობის თავმჯდომარისა არ იყოს, მის გვარ-სახელს ვერ გეტყვით.

ეს **კაცი** „მარადმწვანე“ პარლამენტარია. ამ **კაცმა** უნივერსიტეტში ფილოლოგის დიპლომი აიღო ქართული ენა-ლიტერატურის სპეციალობით. ამ **კაცს** თავის პროფესიაში კვალიფიციური აზრი არასოდეს გამოუთქვამს – არც ჟურნალ-გაზეთებში, არც წიგნებში, არც სამეცნიერო კონფერენციებში. მისთვის უცნობ, ჩაუხედავ თემებსა და პრობლემებზე კი – რამდენიც გინდათ, იმდენი ულაყბია. წამოხტება პარლამენტის სხდომებზე, მიტინგებზე, აქციებზე, ყველგან ცხვირს ყოფს, იცის, თუ არ იცის და „ვიღაცის“ საამებლად თავისი ჭკუით **„წონად“** სიტყვას ამბობს. ტელევიზიის ეკრანში მუდამ არის გაჩხირული, ლამის იქიდან გადმოვარდეს.

ამ **კაცის** გაკეთებული საქმე, როცა ის პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე იყო, არავის უნახავს. თავისი კომიტეტიდან არცერთი პრობლემის განხილვის ინიციატივით არ შესულა პარლამენტში (მხოლოდ თავის სპეციალობაში, თორემ სხვა სალაყბო საკითხებზე, იცოცხლეთ!). ამ **კაცით** პარლამენტი ვერ იამაყებს.

ერთხელ ამ **კაცად** მომეჩვენა სხვა, ზუსტად მისი მსგავსი ჩამრგვალებული პარლამენტარი. შე კაცო, როდის მოეშვები მატრაბაზობას?

– მოსე შეჩვენებულო, რაღა მე ჩამავლე ხელი? „სხვაც მრავალია ჩემფერაო“, – გაბრაზდა ეს **ყველაფრისმცოდნე კაცი**.

– იმად ჩაგავლე, რომ ისინი შენ გგვანან და იმათ – შენაო. ყველაფრისმცოდნეების ტიპიური სახე ხარ, ჩემო იმანო.

ნეტარ არიან მორწმუნენი, რომელთაც სწამთ ასეთი ყველაფრისმცოდნეებისა. არადა, რაჭველებს ეკუთვნით ასეთი ბრწყინვალე შეგონება: **პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო**.

მოსე მწერალი

პოლიტიკოსებიც ხუმრობენ

ყველაფრისმცოდნეები

გამარჯობათ, 26-ე ბაგა-ბაღელებო!

კვება ხომ კარგია? დედობრივი ზრუნვა კი – კიდევ უკეთესი!

ბევრჯერ ვყოფილვარ ცეროდენების ამ დიდ ოჯახში, ოჰ, როგორ ძლიერდება, მშვენდება, ბრწყინდება პატარების ის ჯადოსნური სამყარო. ინფრასტრუქტურა ისე მოწესრიგებულია, ბევრ ბაგა-ბაღს შეშურდება. მახსოვს, დიდი ხნის წინათ აქ შეშის ღუმელებით

თბებოდნენ. ახლა კი ზამთარი ძალიან შორსაა განდევნილი. ახალი სასწავლო წლისთვის ბევრი რამ გაკეთდა. კოსმეტიკურმა რემონტმა უფრო დაამშვენა ისედაც კოხტა შენობა, ხოლო ეზო? აი, სასრიალო, საქანელა, კარუსელი, აიწონა-დაიწონა.

შიგნით უფრო მოიხიბლებით. შეხვალთ და თვალს მოგტაცებთ აზრა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!" სტენდები, ნიჭიერთა ნახატები, მშობელთა კუთხე – ყველაფერი ეს ქმნის ბავშვებისთვის მშობლიურ გარემოს. იგი თავს შინაურ გარემოცვაში გრძნობს. – შესანიშნავ, შრომისმოყვარე კოლექტივთან ერთად ვქმნით ამ დიდებულ გარემოს, – აღნიშნა გამოცდილმა დირექტორმა **ხათუნა მჭედლიშვილმა**, – განსაკუთრებით გვახარებს მერიისა და გამგეობის თანადგომა. მეტად ყურადღებიანი და დახმარებისთვის მუდამ მზადყოფნაშია ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსი **თემურ თორდინავა**. მთელი კოლექტივის სახელით დიდი მადლობა მას.

წელს მერიის გადაწყვეტილებით პატარების კვება საგრძნობლად გაუმჯობესდა, უფრო მრავალფეროვანი გახდა იგი. კერძები უფრო კალორიულია, გემრიელი და მარგებელი.

კვება ხომ კარგია, მაგრამ ცეროდენებზე დედობრივი ზრუნვა – უკეთესი. მათი ბედნიერი ბავშვობისთვის არაფერს იშურებენ აღმზრდელები, – განაცხადა დირექტორმა და ამით ხაზი გაუსვა ყველა თანამშრომლის თავდადებულ ღვაწლს.

ძალიან კმაყოფილი არიან მშობლები და ეს არის მთავარი.

ამ დიდ საქმეში დიდი წვლილი შეაქვს დირექტორის მოადგილეს **ნაზიკო კეჟერაშვილს**. ბაგა-ბაღის სული და გულია თავდადებული მოღვაწე მეთოდისტი **თამარ ვახტანგიშვილი**. იგი კოორდინაციას უწევს მთელ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, ეხმარება აღმზრდელებს მუშაობაში.

ბაგა-ბაღის ცხოვრებაში ფასდაუდებელია ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის მოღვაწეობა. საქმისმწარმოებელ **ცირა მარტიროსოვს** თავისი დაუზარელი შრომის გამო დირექტორის მარჯვენა ხელს ეძახიან. ასევე ითქმის მნე **მანონი გაგოშიძეზე**, რომლის დაუღალავი მუშაობის გარეშე

წარმოუდგენელია ბაგა-ბაღის შედეგიანი ფუნქციონირება.

და მაინც ყველა წარმატების, სიკეთის, სილამაზის, სიყვარულის წყარო და შემოქმედები არიან საქმისთვის თავდადებული აღმზრდელები, მათი თანაშემწეები. საქმიანობის მთელი სიმძიმე ხომ მათ მხრებზე გადადის. ამიტომ მარჯვენა დაელოცოთ აღმზრდელებს: **თეა ნეფარიძეს**, **ელენე ციქურიშვილს**, **მარიკა ქიშმარიას**, **ლილი ქოპილაშვილს**, **მარი ზაალიშვილს**, **თეა ნანუაშვილს**, **რუსუდან ქარუმიძეს**, **კესანე ფილფანს**, **ალვარდ კარაპეტიანს**, **ლუიზა რევაზიშვილს**, **ელენე ბიჩიკაშვილს**, **ეთერ ქურდიანს**, **ნათია ხავთასს**, **ნატო ჭრიკიშვილს**, **ეკა ბუდედაშვილს**, მათ თანაშემწეებს: **ნატო კარიჭაშვილს**, **ტურფა ხვიჩიას**, **დიანა მესხს**, **ირმა კაზარიანს**, **ოფელია მარტიროსიანს**, **ხათუნა აზარაშვილს**, **ლალი სუთიძეს**, **ნინო კაკაბაძეს**. ვერავის გამოვყოფთ, ყველა ერთმანეთზე უკეთესია, – ბრძანა ქალბატონმა ხათუნამ.

ცუგრუმელების ჯანმრთელობის სადარაჯოზე მტკიცედ დგას გამოცდილი ექთანი **ნატო ანდღულაძე** და თუ იმასაც ვიტყვით, რომ თავად დირექტორი ექიმია, პატარებს ვირუსებს ვინ მიაკარებს.

ფოიეში ნიჭიერ ბავშვთა შემოქმედებამ მოგვხიბლა. ზემოთ ვთქვით, განა მარტო ხატვაში, აქ ბლომად არიან სიმღერაში, ცეკვაში, მუსიკაში, დეკლამაციაში, ნიჭიერები. აქ ყველა ნიჭიერია, მაგრამ ზოგიერთი პერსპექტიული, იმედისმომცემი ნორჩების გაცნობა მაინც მოვახერხეთ. **დანიელა არუთინოვი**, **მარი პაპუნაშვილი**, **ანასტასია ხაჩიძე**, **მარი ცუცქირიძე**, **საბა სამხარაძე**, **დათო ჩხაიძე**, **გარიკ ედიგაროვი**, **ალბერტ ბეგლაროვი**, **ვახტანგ ჯოლოხავა**, **ანასტასია ალანია** და სხვები. ყველა ზეიმ-ღონისძიების დამამშვენებლები არიან.

ზემოთ კვებას შევეხეთ. ჰოდა, გემრიელი, ყუათიანი, ეკოლოგიურად სუფთა, არომატული კერძების მომზადებით ბავშვებში მეტად პოპულარული არიან გამოცდილი მზარეული **ეთერ მეტრეველი** და მისი თანაშემწე **რიმა მესიანი**.

ბაგა-ბაღი რომ ასე სუფთა, დალაგებულია, ჰიგიენა დაცულია, ვისი დამსახურებაა? ვისი და: **სუსანა არუთინოვასი**, **მაია კოსტანოვასი**, **ასმათ აზარაშვილის**, **ანა კოსტანოვასი**.

ცეროდენების სულს რომ აფაქიზებენ, მათში ხელოვნების სიყვარულს რომ ზრდიან, ნიჭიერების საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობით რომ სიხარულს გვანიჭებენ, მთელ ბაგა-ბაღს რომ ხალისით ავსებენ – ვინ არიან? ვინ და, მუსიკის ნიჭიერი პედაგოგები: **ლალი ანდრიაძე** და **ლია ქავთარაძე**.

ბაგა-ბაღი რომ ასე უსაფრთხოა, ტექნიკური მხარე რომ მოწესრიგებულია, თავად ბაღის ეზო რომ ლამაზი და მოვლილია, ვისი დამსახურებაა? ვისი და: **ვალერიან დანელიასი**, **ავთანდილ მაისურაძის** და **ნანული გლოველის**, მებაღე **რიმა კირაკოსიანის**.

დიდი მადლობა ამ თანამშრომლებს ბაგა-ბაღისთვის გაწეული ზრუნვისათვის.

ნაცადი, ნიჭიერი დირექტორის **ხათუნა მჭედლიშვილის** თაოსნობით თბილისის 26-ე ბაგა-ბაღი სულ მალე უფრო გაბრწყინდება.

მაია მიშველაძე

აკაკი

(გარდაცვალების 100 წელი)

პოეტი

ხან უგნური ვარ,
ხან – ბრძენი,
ხან არც ისა ვარ, არც ისა,
გარემოების საყვირი,
არც მიწისა ვარ არც ცისა.
ნუ მკიცხავ, მნახო უგნურად,
ნურც გაიკვირვებ ბრძნობასა;
სულ სხვა ჰყავს
ხელისუფალი
ამ ჩემს გონება-გრძნობასა.
ეს გული, სარკედ ქცეული,
ბუნების ნათავხედია:
მხოლოდ მის სახეს
გიჩვენებთ,
რასაც შიგ ჩაუხედია.
ენაც მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია;
ან თვალს უნახავს და ჭკუას
გაუზომ-აუწონია!
თქვენ რომ გგონიათ,
ის არ ვარ,
სხვებს რომ ჰგონიათ,
არც ისა!
შუაკაცი ვარ უბრალო,
ხან მიწისა ვარ, ხან ცისა.

პატარა მურია

რას წუწუნებს
ის პატარა მურია?
ხომ არ ჰშია და
ან ხომ არ სწყურია?
რომ არ მოდის?!
თითქოს უმადურია!
რა ყოფილა, ხედავთ,
ბრიყვი მურია?!
კიდეც რომ ჰყეფს?!
რაღაც უცნაურია!
თათი, თათი,
სალახანავ მურია!
მისი ყეფა
მხოლოდ მარტო შურია...
ვის აშინებს
სასაცილო მურია?!
მაგის ხერხი –
ერთი ლუკმა პურია:
გადაუგდებ,
გაჩუმდება მურია.
ვინც გააძღებს,
მისი შინაურია,
იმას ჰმონებს და
კუდს უქნევს მურია
ან კი რა ქნას?
ბუნებით უძლურია!
ქუცი, ქუცი!
საცოდავო მურია!..
ლაქუცაა კუდქიცინა მურია,
თუ არ ჰშია და ან
არცა სწყურია.

გაიცანით კერძო ბაგა-ბაღი „ანბანელა-„ერუდიტები“!

თქვენზე ვზრუნავთ, პატარებო, დილამშვიდობისა!

შეხვალთ და მოიხიბლებით: აი, კარუსელი, აი, საქანელა, აიწონა-დაიწონა, ნაირ-ნაირი სათამაშოები. აქ ყველგან თოჯინები იცინიან. აკაკის სტრიქონები მოგადგებათ ენაზე: „ეს თვალები რას ნახავენ სხვა უკეთეს სანახავსო!“ ცეროდენების ეს ჯადოსნური სამყარო, ასე მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით, ერთადერთია დედაქალაქში. ყოველ შემთხვევაში, კერძო ბაგა-ბაღთა შორის უკეთესი არსად შემხვედრია. მკითხველს რომ არ გაუჭირდეს მიგნება, მისამართს გეტყვით: **ნუცუბიძის ქუჩის 59-ე ნომერში მდებარეობს იგი**.

სისუფთავე, სიხალვათე, ესთეტიკური ფონი ყველა კუთხე-კუნჭულში სუფევს. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხი ევროპული სტანდარტების დონეზე მიმდინარეობს.

რომ უყურებ პაწიების გაცისკროვნებულ სახეებს, მათ თამაშს, ჟრიამულს, ბავშვობას თავად ინატრებ და წამოიძახებ: „ჰეი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ, ნეტავი!“

და, ამ მშვენიერ ბავშვთა სამყაროს მისი შესატყვისი მშვენიერი დიერქტორი უძღვება – დიდი გამოცდილების მქონე, შემოქმედი პედაგოგი **ზიზი ხახიშვილი**. 25 წლის სტაჟი აქვს სკოლამდელებთან მუშაობისა, 9 წელიწადია ამ **„ანბანელა-„ერუდიტებს“** განაგებს. იგი ქიათურის პირველი სკოლისა და თბილისის მაშინდელი პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის აღზრდილია, ბედნიერი დედა და ახალგაზრდა ბებია ორი შვილისა და ოთხი შვილიშვილის ლამაზად აღმზრდელია.

ბაგა-ბაღის სასწავლო-აღმზრდლეობით საქმიანობაში ღრმად ვერ შევიჭრებით, მაგრამ ზოგიერთი რამ უთუოდ უნდა აღინიშნოს, ორიგინალურად დახვეწილი სტილით, დამოუკიდებელი გეგმა-პროექტებით უძღვებიან საქმეს პედაგოგები, სკოლას რომ უნარ-ჩვევებით უფრო მომზადებული ბავშვები გაუგზავნონ. ამისთვის ჩამოყალიბებულია ორი მოსამზადებელი ჯგუფი, რომელთაც ყველა საგანში ჰყავს ცალკე მასწავლებელი. მაგალითად, აქ ინგლისურს ასწავლის შესანიშნავი სპეციალისტი **თეა კილაძე**, რუსულს – **ლელიკო ჩხიკვიშვილი**, ქართულს – **სოფიკო შენგელია**.

– სოფიკო ჩემი გამოზრდილი ჩინებული მეთოდისტია, – სიამაყით მაცნობს მას ქალბატონი ზიზი, – იგი შემოქმედებითად მუშაობს აღმზრდელებთან, კოორდინაციას უწევს მთელ სასწავლო-აღმზრდლეობით საქმიანობას. ასევე მყავს ნიჭიერი, ენერგიული ადმინისტრატორი **ნათია ინაშვილი**, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას, როგორც იტყვიან, **„ხუთიანზე“** ასრულებს.

დირექტორმა კიდევ ბევრი სიახლე გამაცნო: ჩვენ ბაგა-ბაღის მთელ პერიმეტრზე დამონტაჟებული გვაქვს ანტივირუსული დანადგარები – **„იონიზატორები“**, რომელიც ძალიან ძვირი ფუფუნებაა. იგი უზრუნველყოფს ამ პერიმეტრში ატმოსფეროს ეკოლოგიურ სიჯანსაღეს. არამარტო ჰაერის გამწმენდია, არამედ სპობს მავნე ვირუსებს და ალერგენებს.

აქ ყველა აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე მოწოდების სიმაღლეზეა. დირექტორი თავდადებული შრომისთვის ყველას მადლობას უცხადებს. ასევე ქებით მოიხსენიებს იგი მთელი გატაცებით მოღვაწე აღმზრდელ-პედაგოგებს: **მაიკო კვირკველიას** და **ნინო ნაჭყებიას**, **ია მღვდელაძეს** და **შორენა გელაშვილს**.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცეროდენების ესთეტიკურ აღზრდას, მათში ხელოვნების მიმართ სიყვარულის, მიდრეკილების ჩამოყალიბებას. მუსიკის ჩინებული პედაგოგები არიან **მანანა ბრეგვაძე** და **გულიკო გურგენიძე**. მათი ხელმძღვანელობით პატარების აქტიურ მონაწილეობას ზეიმებში, მხატვრულ ღონისძიებებში სიხალისე და სიხარული შემოაქვს ბაგა-ბაღის ცხოვრებაში. დაუვიწყარია გამოშვების დღესასწაულები, სადაც დიდი ზეიმით ხდება კარგად მომზადებული ცუგრუმელების სკოლისკენ გზის დალოცვა.

ყველა ამ საქმეში ლომის წილი უდევს გამოცდილ რეჟისორს **ნანი ჯაიანს** და ცეკვის პედაგოგს **მირანდა ჭყონიას**.

გასულ სასწავლო წელს სკოლისთვის კარგად მომზადებულ 56 ცეროდენას გზა დაულოცეს პირველი კლასისკენ.

სანიმუშოა პატარების კვება. აღსაზრდელები ეკოლოგიურად ჯანსაღ, ყუათიან, არომატულ კერძებს მიირთმევენ.

ბაგა-ბაღის ჭიშკართან მშობლებს შევხვდი, – თქვენი შვილების კვებით კმაყოფილი ხართ? – შევეკითხე. ერთი ქალბატონი პოეტი აღმოჩნდა, ცერა თითი მიჩვენა და მითხრა: „კერძებია იმისთანა, რომ ჩაატან თითებს თანაო“. ასე რომ, ძალიან პოპულარულნი არიან ბავშვებსა და მათ მშობლებში გამოცდილი მზარეული **იამზე გიორგაძე** და მისი თანაშემწე **ირმა თირქია**.



კიდევ რა ვთქვათ კარგი ბაგა-ბაღზე? რა და, ჩამოყალიბებულია **ირმა ნიორაძის** სახელობის ცეკვის საბალეტო სტუდია, რომელსაც ნაყოფიერად უძღვება **მანანა ნიორაძე**. მეტად პოპულარულია ჭადრაკის

წრე. პედაგოგი **რამაზ ცერცვაძე** ნიჭიერ მოჭადრაკეებს აკვალიანებს.

„კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველიო“, – იტყოდა გალაკტიონი. ჩვენც კიდევ ბევრი რამ კარგი დაგვრჩა სათქმელი, მაგრამ შემდეგისთვის იყოს.

კერძო ბაგა-ბაღი **„ანბანელა-„ერუდიტების“** ყველა ცეროდენას, ყველა აღმზრდელს და თანამშრომელს თავად ერუდიტი დირექტორის **ზიზი ხახიშვილის** ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მეტად გაბრწყინებას ვუსურვებთ.

გორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

უფრო ხშირად გავიცინოთ!

ნიკაპნალამოკრულები

მოდა კაცობრიობის ცხოვრების წესგემოვნებას განსაზღვრავს. ზოგი სწრაფწარმავალია, ზოგი კი – უფრო მედეგი. მაგალითად, გახეხილ-გამობდღვნილი ჯინსის შარვალი ახლაც მოდაშია, მაგრამ ქალების მიერ საჯაროდ გამოჩენილი ჭიპები მალე დაიმალა.

მეზობლის მეექვსეკლასელმა ლიკამ გუშინ ახლთახალი ჯინსის შარვალი იყიდა. მეორე დღეს მუხლებთან გახეხილ-გაფხრეწილი რომ ვუნახე, ვკითხე: ასე მალე როგორ დაგეხა, ლიკა? – მოდაა, ბიძიაო, – მიპასუხა.

მოდა გემოვნების საკითხია და გემოვნებაზე არ დაობენო, – ყველა ამას გაიძახის. სწორია, მაგრამ რაც არ გიხდება და მაინც ბაძავ, ესაა სწორედ **უგემოვნო გემოვნება**. შეიძლება ამით სასაცილო მდგომარეობაშიც კი აღმოჩნდე, აბა, რახან ქალებისთვის შარვალი მოდაში შემოვიდა, წარმოიდგინეთ ლუარსაბის დარეჯანივით სქელუა ქალი კუპატივით შარვალში ჩამჯდარი ქუჩაში რომ **„მოგოგმანობდეს“**.

ღმერთმა და ბუნებამ ქალის სამშვენისად **კაბა** გააჩინა.

მოდით, დღეს მოდად მოდებულ მოდაზე, კერძოდ, **წვეროსნობაზე** ვისაუბროთ.

წვეროსნობა წარამარა მოდიფიკაციას განიცდის, ვისაც არ უხდება წვერი, მასზე ეცინებათ.

ელიზბარ ჯაველიძე ასეთებს **„ვაციწვერას“** ეძახის. რეზო ამაშუკელმა დარჩიაშვილი **შოკოლადით** სახემოთხუპნულ ბავშვს შეადარა.

რა პანდემიასავით გავრცელდა, კაცო, ეს **„წვეროსნობა?“** მეათეკლასელი მოსწავლეები შემხვდნენ, სახეზე ოდნავშესამჩნევი ღინღლები გაეპარსათ, მალე კუპრივით შავი წვერი ამოგვივაო. არსენა გამახსენდა, ის მხნე არსენა, რომელმაც „რომ შეიქმნა თექვსმეტი წლის, **ულვაშები** დაიმშვენა“ და არა – **წვერები**.

ერთ დროს მოდაში იყო **„ბაკენ-ბარდები“**, შემოკლებით **„ბაკები“**, ფილმ **„ჰუსარულ ბალადაში“**, ჯარისკაცებს რომ აქვთ, ისეთი. ცხონებული **ჰამლეტ გონაშვილი** ატარებდა ასეთ **„ბაკებს“**, **თამაზ კვაჭანტირაძეც** ატარებდა, მომღერალი – **სეფერთილაძეც**, მაგრამ მათ ხომ ეს შვენოდათ?

„ბაკები“ **„ბლანჟემ“** შეცვალა. **„ბლანჟეს“** მეგრულად **„ბჟაკეს“** ეძახიან. მოდით, ეს ტერმინი ვიხმაროთ, ფონეტიკურად ასე უფრო კარგად ჟღერს.

აი, სულ ახლახან ახალი მოდიფიკაციის **„ბჟაკე“** გავრცელდა, როგორია იგი ვიზუალურად? კარგად მომისმინეთ: შარშან ერთ-ერთ არხზე იუმორისტული გადაცემა მიჰყავდა ერთ ტელეჟურნალისტს, თავითა და ტანით ბურთივით მრგვალს. არც თავზე, არც სახეზე ბალნის ნასახი არ ჰქონდა, ოღონდ ნიკაპთან დაწყებული საულვაშეს ჩათვლით ცხენის ნალის მსგავსი შავი ბალანი ჰქონდა აკრული, თითქოს გრიმიორს მიუწებებიაო. გრიმი არ გეგონოთ. ნამდვილი თმა იყო – ასე ჰქონდა გაპარსული.

მოდით, ასეთებს **„ნიკაპნალამოკრულები“** დავუძახოთ. უფრო კარგად რომ წარმოვიდგინოთ, აგერ არა გვყავს ჩვენი **ნასარიძე**?

ასეთი **„ბჟაკე“** ახლახან არ ამოიკრა **ნიკო გვარამიამ**?

განათლების მუშაკთა შორის ამ მხრივ პირველობის პალმას **სიმონ ჯანაშიას** ვერავინ შეეცილება. მას მიბაძეს მინისტრებმა, **ნოდიამ, შაშკინმა, მარგველაშვილმა.**

გია, გახდა თუ არა პრეზიდენტი, მაშინვე შეელია ნალის **„ბჟაკეს“**, მაგრამ **კახი კალაძე** უფრო **„მდგრადი“** აღმოჩნდა, მიუხედავად ერთი სიმპათიური ქალბატონის მიერ მისი **„ბჟაკის“** საჯაროდ დაწუნებისა.

მუდამ პირწმინდად წვერ-ულვაშ გაპარსული ცნობილი ფოტორეპორტიორი **ჯემალ კასრაძე** მოულოდნელად თეთრწვერმოსილი მოგვევლინა. – ალბათ, **გია ხუხაშვილს** მიბაძეო, – შევეხუმრეთ მე და **პავლე მურადაშვილი**. – არა, კაცო, გაპარსვა დამეზარაო. მეორე დღეს წმინდად გაპარსული მოვიდა.

ერთი თვის შემდეგ ისევ **გია ხუხაშვილს** დამსგავსებოდა. გიას ძალიან გავხარო, – ისევ გავეხუმრეთ. თავადაც ხუმრობით გვიპასუხა: ნეტავი, მართლა ვგავდე **გია ხუხაშვილსო**, იგი ფულიანი კაცია, მე კი უფულო ვარო.

დიახ, კაცია და გუნება. გაუმარჯოს „ბჟაკიანებს!“

მოსე მწერალი

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 13 (4517)
28 ოქტომბერი, 2015 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009